ზვიად აბაშიძე*

როჯერს ბრუბეიკერისა და სამი სმოჰას პოსტ-კომუნისტური ნაციონალური პროექტების ანალიზი და საქართველო

დასავლური ტიპის ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობის საკითხი, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიას დაეფუძნებოდნენ, არც თუ მარტივად გადასაჭრელი პრობლემა გამოდგა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვის. ფუკუიამასეული ოპტიმიზმი, რომ ლიბერალიზმი საბოლოოდ დასძლევდა სხვა იდეოლოგიების, მათ შორის ნაციონალიზმის წინააღმდეგობას ფუჭი აღმოჩნდა. ნაციონალიზმი არა თუ ისტორიის კუთვნილება, არამედ პრაქტიკულად მთავარი მამოძრავებელ ძალად იქცა ყოფილი კომუნისტური ბანაკის ქვეყანათა დიდი ნაწილისთვის. ამგვარ ნაციონალიზმს უოლკერ კონორმა (Walker Connor)-მა „ეთნონაციონალიზმი“[1] უწოდა, რაც ჰანს კონის (Hans Kohn)[2] -მიერ აღწერილ დასავლურ-აღმოსავლური ნაციონალიზმის ცნობილ დიქოტომიაში აღმოსავლურ ტრადიციას უფრო ეფუძნებოდა. დასავლური ნაციონალიზმი, უფრო სამოქალაქო ქველობის იდეასა და ტერიტორიულ პატრიოტიზმს ეფუძნებოდა, ხოლო კონორისეული ეთნონაციონალიზმი უფრო გაფართოებული ოჯახისა და ნათესაობის პრინციპს წარმოადგენდა, სადაც ემოცია სჭარბობდა რაციონალიზმს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბევრი ბოლოდროინდელი კვლევის მიხედვით, ნაციონალიზმის დანახვა მხოლოდ სამოქალაქო-ეთნიკური მოდელების მკვეთრი დიქოტომიის ფონზე ერთგვარ გადააზრებას მოითხოვს. ის ვებერისეულ იდეალურ ტიპების კატეგორიას უფრო მიეკუთვნებიან. პრაქტიკათა უდიდესი ნაწილი მათი ნაზავი სახით არსებობას ადასტურებს, თუმცა ერთ შემთხვევაში შესაძლოა სამოქალაქო დისკურსი

---

* პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

[1] იხ. Walker Connor / Ethnonationalism: Quest For Understanding. Princeton University Press, 1993

[2] იხ. Hans Kohn / The Idea of Nationalism / A Study in Its Origins and Background. Published, 2005 by Routledge

სჭარბობდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში ეთნიკური კატეგორიები იყოს წინა პლანზე წამოწეული.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია, რომ ორი ცნობილი ავტორის მიდგომები განხილვის ფონზე დავინახოთ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ე.წ. აღმოსავლური ნაციონალიზმის და სახელდობრ, პოსტ-კომუნისტური ნაციონალიზმის მხოლოდ ეთნიკური კატეგორიების მიხედვით აღწერა. სტატიაში განხილული გვაქვს პოსტ-კომუნისტური ნაციონალიზმის ინტერპრეტაციის ორი გავლენიანი მიდგომა; ეს მიდგომებია: როჯერს ბრუბეიკერის „გამაეროვნულებელი სახელმწიფოს/(nationalizing state)[3] და სამი სმოჰას (Sammy SMOOHA) „ეთნიკური დემოკრატიის“[4] კონცეფცია. ორივე მიდგომა ხშირად გამოიყენება პოსტ-კომიუნისტური ნაციონალიზმისა და ერი-სახელმწიფოების მშენებლობის ინტერპრეტაციისთვის და მიგვაჩნია, რომ საინტერესოა მათი კიდევ ერთხელ გადააზრება პოსტ-საბჭოური საქართველოს მაგალითზე, რათა ამ მიდგომათა ძლიერი და სუსტი მხარეები ვაჩვენოთ.

როჯერს ბრუბეიკერის „გამაეროვნულებელი სახელწიფოს“ (nationalizing state) არსი

პოსტ-კომუნისტურ ნაციონალიზმზე უკანასკნელ წლებში მრავალი კვლევა დაგროვდა, რომელთა შორის როჯერს ბრუბეიკერის „გამაეროვნულებელი სახელმწიფოს“ და სამი სმოჰას (Sammy SMOOHA) „ეთნიკური დემოკრატიის“ კონცეფციას გამორჩეული ადგილი უჭირავთ. იმის მიუხედავად, რომ ბრუბეიკერისგან განსხვავებით, სმოჰას კონცეფცია 1989 წელს შეიქმნა და ძირითადად ისრაელის ინტეპრეტაციას ეყრდნობოდა, იგი გამოყენება პოსტ-კომუნისტურ სამყაროს აღსაწერად, განსაკუთრებით კი ესტონეთისა და ლატვიისა, რომელთაც ერთის მხრივ ეთნოჰომოგენიზაციის პროექტები განახორციელეს, თუმცა მოერეს მხრივ მოახერხეს კონსოლიდირებული დემოკრატიის აშენებაც.

ერთი საკითხი რაც ამ ორივე მიდგომას აერთიანებს, გახლავთ ის, რომ მათთვის პოსტ-კომუნისტური ნაციონალიზმი ცალსახად ეთნიკუ-

[3] Rogers Brubaker National Minorities, Nationalizing States, and External National Homelands in the New Europe/ Daedalus , Spring, 1995, Vol. 124, No. 2

[4] Sammy Smooha /The Model of Ethnic Democracy*// THE FATE OF ETHNIC DEMOCRACY IN POST-COMMUNIST EUROPE. Edited by SAMMY SMOOHA AND PRIIT JÄRVE /OPEN SOCIETY INSTITUTE 2005

რი ხასიათისაა და შესაბამისად გარკვეული ჩაკეტილობით გამოირჩევა, თუმცა, ბრუბეიკერის შემთხვევაში ამგვარი ნაციონალიზმი, უმთავრესად, უმრავლესობის უმცირეობაზე პოტენციურ ჰეგემონობად არის გაგებული, ხოლო სმოჰას მოდელში ეთნიკური დემოკრატია სტაბილურის პოლიტიკური სისტემის საწინდარია, რადგან იგი ყველა მოქალაქი თანასწორ უფლების აღიარებას მოითხოვს.

ბრუბეიკერისთვის საკითხის შესწავლის მთავარი პერიოდია ორ მსოფლიო ომს შორის არსებული მაშინდელი აღმოსავლეთი ევროპა, თუმცა იგი წარმატებით ვრცელდება პოსტ-კომუნისტურ სამყაროზეც, რომელთა შორისაც მან დაწვრილებით ყოფილი იუგოსლავია განიხილა. ბრუბეიკერი ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებს „გამაეროვნულებელ სახელმწიფოებს“ უწოდებს, რადგანც მისი აზრით ეს უფრო მეტად ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე შემდგარი ქვეყნები არიან, ვიდრე ჩამოყალიბებული ერი-სახელმწიფოები, სადაც მოსახლე უმრავლესობა ცდილობს "ეროვნული უმცირესობის (ამ ტერმინს იყენებს ბრიბეიკერი ეთნიკური უმცირესობის ნაცვლად) იგნორირებას და საკუთარი ეთნონაციონალური ნორმების უპირატესობის დანერგვას. ბრუბეიკერის თქმით, „გამაეროვნულებელი სახელმწიფოები“ ეთნიკურად ჰომოგენური სახელმწიფოებისკენ არიან მიდრეკილნი, რომელთა გაბატონებული ელიტა ხელს უწყობენ ნომინალურად სახელმწიფოებრიობის მატარებელი ერების ენის, კულტურის, დემოგრაფიული მდგომარეობის, ეკონომიკური წარმატებისა და პოლიტიკური ჰეგემონობის განვითარებას; ხოლო მოცემულ ქვეყნებში არსებული სოლიდურად ორგანიზებული და პოლიტიკურად გარიყული ეროვნული უმცირესობები ჰყავთ, რომელთა ლიდერებიც კულტურულ თუ ტერიტორიულ ავტონომიას ძიებაში არიან და ეწინაღმდეგებიან არსებულ თუ პოტენციურ ასიმილიაციისა თუ დისკრიმინაციის პოლიტიკას [5]

ბრუბეიკერი გამოჰყოფს ტრიადას, რომლის გათვალისწინების გარეშეც შეუძლებლად მიაჩნია პოსტ-კომუნისტური სახელმწიფოების გაგება. ეს ტრიადაა: გამაეროვნულებელი სახელმწიფო, ეროვნული უმცირესობა და გარე სამშობლო (external homeland). ბრუბეიკერის მიხედვით, ეროვნული უმცირესობა არა იმდენად ფიქსირებული თუ ერთგვა-

[5] Rogers Brubaker National Minorities, Nationalizing States, and External National Homelands in the New Europe/ Daedalus , Spring, 1995, Vol. 124, No. 2,გვ.109-110)

როვანი ჯგუფია, რამდენადაც სხვადასხვა ორგანიზაციების, ჯგუფების, მოძრაობების, პარტიების, თუ ინდივიდუალური პოლიტიკური მეწარმეების მიერ კონკურურებადი პოზიციის წარმოჩენის პროცესი, რომელიც ცდილობს წარსდგეს „უმცირესობად“ როგორც საკუთარი მერყევი წევრების, ისე მასპინძელი სახელმწიფოს თუ მსოფლიოს წინაშე[6], ხოლო „გარე სამშობლოს“ ბრუბეიკერი შემდეგნაირად განსაზღვრავს: „სამშობლო ეს პოლიტიკური და არა ეთნოგრაფიული კატეგორიაა, რომელიც კონსტრუქციას წარმოადგენს და არა მოცემულობას. სახელმწიფო გარე ეროვნულ „სამშობლოდ“ მაშინ იქცევა „მისი“ ეთნიკური დიასპორისთვის, როდესაც პოლიტიკური თუ კულტურული ელიტის წარმომადგენლები ეთნონაცონალური თანამოძმეების დადგენას იწყებენ სხვა სახელმწიფოში მაცხოვრებელ ერის წარმომადგენლებთა შორის, რომელთაც, თვითონაც მიაკუთვნებენ თავს. ამის გამო, ისინი იწყებენ „სხვა სახელმწიფოში“ მაცხოვრებელი თანამოძმეებისადმი მასპინძელი სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე ზედამხედველობის დაწესებას. „სამშობლოს“ პოლიტიკა სხვადასხვა ფორმებს ღებულობს, დაწყებული ემიგრაციიდან ეთნიკური დიასპორის „დაბრუნებული“ წევრებით დამთავრებული, რომელსაც როგორც ირედენტიზმის, ისე ეთნიკური თანაარსებობის მოთხოვნები შეიძლება ჰქონდეს.[7]

ბრუბეიკერის კონცეფციაში გამაეროვნულებელი სახელმწიფოს ეთნოკულტურული მოქმედების მთავარი მიზანი ძირითადი ეთნიკური ჯგუფის დომინანტობის მიღწევაა დანარჩენ უმცირესობათა ხარჯზე, რაც ეროვნული უმცირესობის გაღიზიანებას და მათი ავტონომიისკენ ან სეცესია/ირენდენტიზმისკენ გადახრას იწვევს. ამ დროს, მას თანადგომას „გარე სამშობლო“ უცხადებს და გაფაციცებით ცდილობს საკუთარ თანამოძმეთა დაცვას. ბრუბეიკერისთვის სწორედ ამგვარად ბრუნავს ნაციონალური დისკურსის საკითხი ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, რომელიც ყოველთვის კონფლიქტური შეიძლება არ იყოს[8]

[6] Rogers Brubaker.. ibid: pp.113
[7] Rogers Brubaker.. ibid: pp.109-110
[8] Rogers Brubaker.. ibid: pp.109

სმოჰას „ეთნიკური დემოკრატიის“ მოდელი

სამი სმოჰა სამართლიანად აღნიშნავს, რომ დემოკრატიის ნაკლოვანებამ, გარდამავალ ქვეყნებში შესაძლოა ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის დომინანტობა აღმოაცენოს, რომელმაც „ეთნიკური სახელმწიფოს“ სახეც მიიღოს. მასში ინსტიტუციონალიზებულ დომინანტობას ექნება ადგილი, რომელმაც დემოკრატია შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს[9]. სმოჰას კატეგორიზაციით, დემოკრატია შეიძლება იყოს მულტიკულტურული და ეთნიკური. მულტიკულტურული დემოკრატიის ცნება უფრო დასავლურ დემოკრატიებს მიესადაგება მისი აზრით, ხოლო დემოკრატიათა გარკვეული კატეგორიის კლასიფიკაცია აქამდე არსებულ ტიპოლოგიებში და თუ ის ზემოაღნიშნულ საკითხებს ეხმიანება, მას შესაძლოა „ეთნიკური დემოკრატია“ ვუწოდოთ. სმოჰას მიხედვით: „ეთნიკური დემოკრატია“ შესაძლოა ვუწოდოთ რეჟიმს, რომელიც სტრუქტურულ ეთნიკურ დომინანტობას საყოველთაო უფლებათა აღიარებას უთავსებს. ამგვარი რეჟიმის იდენტიფიცირება დემოკრატიის ტიპების, დემოკრატიის გავრცობასა და განსაზღვრებაში გვეხმარება, რათა უკეთ მოხდეს დემოკრატიებისა და ნახევრად დემოკრატიების აღწერა და გაგება, რომელნიც ეთნიკურ დანაწევრებას განიცდიან.[10]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონცეფცია „ეთნიკური დემოკრატია“ განსხვავდება კონცეფცია „ეთნოკრატიისგან“. იაფტექელის მიხედვით, ეთნოკრატია არადემოკრატიული რეჟიმია, რომელიც ცდილობს ეთნიკური არაპროპორციული კონტროლი განავრცოს ან შეინარჩუნოს სადავო მულტიეთნიკურ ტერიტორიაზე. ეთნოკრატია მაშინ ყალიბდება, როდესაც ტერიტორიაზე კონტროლის გავრცელება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და როდესაც დომინანტური ჯგუფი საკმარის ძალას ფლობს, რათა სახელმწიფოს ბუნება ერთმნიშვნელოვნად განსაზღვროს. ამრიგად, ეთნოკრატია არასტაბილური რეჟიმია და მოწინააღმდეგე მხარეთა მუდმივი წინააღმდეგობის გამო, ხშირად კონფლიქური ხასიათისაა“.[11]

სმოჰა სვამს კითხვას, თუ რა განსახვავებს ეთნიკურ დემოკრატიას სამოქალაქო დემოკრატიისგან. მის მიხედვით, ეთნიკურ დემოკრა-

---

[9] იხ. Sammy Smooha /The Model of Ethnic Democracy*// THE FATE OF ETHNIC DEMOCRACY IN POST-COMMUNIST EUROPE. Edited by SAMMY SMOOHA AND PRIIT JÄRVE /OPEN SOCIETY INSTITUTE 2005)

[10] Sammy Smooha..ibid: p.7

[11] Sammy Smooha .. ibid: 19

ტია სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობის უფლებების დეფიციტს განიცდის, რადგანაც უმცირესობის უფლება მეორე ხარისხოვანია უმრავლესობის უფლებასთან შედარებით. სახელმწიფო, რომელიც უმრავლესობის იდეასთან უფრო ასოცირდება მოქალაქეობასთან შედარებით არც სარგებლობს და არც ძლიერ ცდილობს ლეგიტიმურობის და თანხმობის მოპოვებას მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან. [12]

მოკლედ რომ ითქვას, სმოჰას „ეთნიკური დემოკრატია" არ არის ბოლომდე დასავლური ტიპის სამოქალაქო დემოკრატია და მასთან შედარებით გარკვეული დემოკრატიული შეზღუდულობით ხასიათდება, რაც უმთავრესად რომელიმე ეთნიკური ჯგუფის დომინანტობაში გამოიხატება, ზღუდავს დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფთა ფაქტობრივ უფლებებსა და სამოქალაქო ეგალიტარიზმი ყოველთვის არ დგას ეთნიკურ დომინანტობაზე მაღლა.[13] ამგვარმა პროცესმა, პოტენციურად შესაძლოა გარკვეულ არასტაბილურობას დაუდოს სათავე.

ბრუბეიკერის შეხედულება ხშირად მართებულად აღწერს პოსტ-კომუნისტურ ვითარებას, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, მას ნაკლოვანებაც ახასიათებს. მაგალითად, როგორც ტარას კუზიო სამართლიანად აღნიშნავს, ყველა დასავლეთ ევროპული სახელმწიფო ფაქტობრივად „გამაეროვნულებელია" გარკვეული დოზით, რადგანაც ყოველ მათგანი გარკვეული ეთნო-კულტურული საფუძვლისგან შედგება და მტკიცე საბუთი, მათი გამაეროვნუებელ პოლიტიკასა და ერადქმნადობას (nation-building) შორის არ არსებობს.[14] . ამ საკითხზე სმოჰაც მართებულად აღნიშნავს, რომ „ბევრმა თანამედროვე ევროპულმა ლიბერალურმა დემოკრატიამ აწარმოა კულტურული და ეთნიკური ჰომოგენიზაციის პოლიტიკა. ეს ყველაფერი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და საჭიროების შემთხვევაში იძულების ხასიათიც კი ჰქონდა. თუმცა, უკანასკნელ ხანებში, მოცემულმა დასავლურმა სახელმწიფოებმა შეცვალეს ისტორიული ტენდენცია და უფრო მულტიკულტურული დემოკრატიების მშენებლობისკენ გადაიხარნენ[15], რაც ყოველ-

[12] Sammy Smooha..ibid: p.19

[13] Sammy Smooha.. ibid: p.19

[14] *Taras Kuzio* / "Nationalizing State" or nation-building? Ccritical review of the theoretical literature and empirical evidence / Nations and Nationalism 7(2), 2001, 135-138

[15] Sammy Smoha..ibid: p.7

თვის წარმატების არ დასრულდა და ეთნოჰომოგენიზაციას კვლავინ-დებურად ბევრი მომხრე ჰყავს. აღზევებული მემარჯვენე პოპულისტუ-რი მოძრაობათა ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი სწორედ ეროვნული ჰომოგენიზაციისკენ მიბრუნების მოთხოვნაა, რაც ნათელი დადასტუ-რებაა მულტიკულტურალიზმის გარკვეული კრახისა.

მოცემულ პროცესში, განსხვავება შეიძლება დავინახოთ მასში, რომ დასავლურ სამყაროში, თანამედროვე ცენტრალიზებული სახელ-მწიფოების ჩამოყალიებება უფრო ადრეულ ეტაპზე წარიმართა, რასაც თან სოციალური და ეკონომიკური მოდერნიზაცია ერთვოდა და ეთ-ნიკური და სამოქალაქო კატეგორიები ადრიდანვე ერთ პრიზმაში გარ-დაქმნა, ხოლო ყოფილი კომუნისტური ქვეყნების შემთხვევაში, მათი ნაგვიანევი მოდერნიზაციისა და გვიანდელი ცენტრალიზებული სა-ხელმწიფოების ჩამოყალიბების გამო, ეთნიკურ და სამოქალაქო კატე-გორიებს შორის ურთიერთობა უფრო ამბივალენტური იყო, რასაც სმო-ჰა აღნიშნავს სამართლიანად.

დასკვნა

პოსტ-კომუნიტური საქართველოს მაგალითი კარგად აჩვენებს, რომ ეთნიკური ბირთვის ფაქტობრივი კულტურული დომინანტობის პროცესს თან არ სდევდა არაეთნიკური ბირთვის მქონე მოსახლეობის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აღიარება. ამის საილუს-ტრაციოდ უნდა დავასახელოდ პოსტ-კომუნისტური საქართველოს კონსტიტუციური და საკანონმდებლო სივრცე, რომელიც სამოქალაქო ეგალიტარიზმის იდეას ეფუძნება და განზე დგას ეთნიკური იერარქი-ების შექმნისგან, რომელიც პრაქტიკაში გარკვეული დოზით შესაძლოა არსებობდეს, მაგრამ მას ზურგს არ უმაგრებს სამართლებრივი რეგუ-ლაციები. ფაქტობრივი ასიმეტრიის პირობებში, სამართლებრივი რე-გულაციების ეგალიტარული ხასიათი სამომავლოდ წარმატებული სა-მოქალაქო ინტეგრაციის მტკიცე საფუძველს ქმნის, რომელმაც უნდა დასძლიოს საბჭოთა წარსულისგან მიღებული ეთნო გაუცხოვება და ეთნიკური ინსტიტუციონალიზაციის ტენდენციები. აქვე უნდა ით-ქვას, საქართველოში, სამოქალაქო ეგალიტარიზმის იდეა არ ეფუძნება ჯგუფის კოლექტიური უფლების აღიარებას, რაც შეიძლება ტერიტო-რიულ ავტონომიებში გამოიხატებოდეს და მხოლოდ მოქალაქე-სა-ხელმწიფოს მოდელის არსებობას ადასტურებს, რომელსაც გარკვეუ-

ლი უკმაყოფილებაც მოსდევს პერიოდულად სხვადასხვა მცირე ზომის უმცირესობების ეთნოელიტებისგან.

ამავე დროს, საქართველოს შემთხვევა ადასტურებს, რომ „გარე სამშობლოს“ როლს ყოველთვის არ ირგებს პოსტკომუნისტური ქვეყანა. მას არასდროს უწარმოებია „გარე სამშობლოს“ როლი საკუთარ ეთნიკურ თანამოძმეთა მიმართ აზერბაიჯანსა და თურქეთში და აგრეთვე არც საქართველოს ყოფილი საბჭოთა მეზობლები (სომხეთი და აზერბაიჯანი იგულისხმება, გარდა რუსეთისა) არ მდგარან ფორმალური „გარე სამშობლოს“ როლში საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად აზერბაიჯანელი ან სომეხი მოსახლეობის მიმართებაში. მათ არასდროს ოფიციალურად მხარი არ დაუჭერიათ საქართველოში არსებული არც თუ ძლიერი გარკვეული დაჯგუფებებისთვის, რომელთა მოთხოვნა ან ტერიტორიული ავტონომიის, ან კიდევ ეთნიკურ თანამოძმეთა სამშობლოსთან მიერთება იქნებოდა [16]

თუმცა, პოსტ-კომუნისტური რუსეთი „გარე სამშობლოს“ კარგი მაგალითია საქართველოსთან მიმართებაში 2008 წლის ომამდე და ომის შემდეგ, როდესაც ცხინვალის კონფლიქტურ რეგიონში მოსახლე ეთნიკურად ოსი მოსახლეობის უმრავლესობას რუსული პასპორტები დაურიგა, რაც შემდგომში საქართველოს შიდა საქმეებში სამხედრო ჩარევის საბაბად გამოიყენა, როგორც მცდელობა დაეცვა საკუთარი თანამოქალაქეები ქვეყნის გარეთ. ამ შეთხვევაში, ბრუბეიკერის ეთნიკურ თანამოძმეთა კატეგრია, რუსეთმა თანამოქალაქეთა კატეგორიით ჩაანაცვლა, მაგრამ პოლიტიკური ქმედების გეზი ბრუბეიკერისეული გაიმეორა.

სმოჰას ეთნიკური დემოკრატიის მოდელზეც უნდა ითქვას, რომ ეთნიკური დემოკრატიის კატეგორიაც ბოლომდე ვერ აღწერს ქართულ ვითარებას, რადგან ერთის მხრივ სამოქალაქო უფლებების აღიარებასთან დაკავშირებით საქართველოში ნაციონალური პოლიტიკა არასდროს ეყრდნობოდა გამიზნულად ეთნიკური იერარქიების შექმნას და თუ კი ამგვარი ფაქტობრივი შემთხვევები არსებობდა მთავარი მიზეზი, როგორც წესი, სახელმწიფოს სისუსტე და ეკონომიკური სიღარიბე გახლდათ. მართებულად აღნიშნავს ნატალი საბანაძე, რომ „საქართვე-

[16] იხ.Zviad Abashidze /Wheaknesses of „nationhood”: national integration as challenge for post-communist Georgia / Politeja, No. 1 (3) (2005). Księgarnia Akademicka)

ლოს არასტაბილურობის მთავარი წყარო ეთნიკური დემოკრატიისა და სუსტი სახელმწიფოებრიობის კომბინაციაში უფრო უნდა ვეძიოთ“.[17].

ამრიგად, უნდა ითქვას, რომ როგორც ბრუბეიკერის, ისე სმოჰას მოდელები ხშირად კარგად აღწერენ პოსტ-კომუნისტური სახელმწიფოების ეროვნული პროექტების სულისკვეთებას, თუმცა მთელ რიგ საკითხებში ხელახალ გადააზრებას და გარკვეულ კორექტირებებს მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Rogers Brubaker National Minorities, Nationalizing States, and External National Homelands in the New Europe/ Daedalus , Spring, 1995, Vol. 124, No. 2
- Natalie Sabanadze / Georgia's ethnic democracy: source of instability / THE FATE OF ETHNIC DEMOCRACY IN POST-COMMUNIST EUROPE. Edited by SAMMY SMOOHA AND PRIIT JÄRVE /OPEN SOCIETY INSTITUTE 2005
- Sammy Smooha /The Model of Ethnic Democracy*// THE FATE OF ETHNIC DEMOCRACY IN POST-COMMUNIST EUROPE. Edited by SAMMY SMOOHA AND PRIIT JÄRVE /OPEN SOCIETY INSTITUTE 2005
- Hans Kohn / The Idea of Nationalism / A Study in Its Origins and Background. Published, 2005 by Routledge
- Walker Connor / Ethnonationalism: Quest For Understanding. Princeton University Press, 1993
- *Taras Kuzio* / "Nationalizing State" or nation-building? Ccritical review of the theoretical literature and empirical evidence / Nations and Nationalism 7(2), 2001
- Taras Kuzio /HISTORY, MEMORY AND NATION BUILDING IN THE POST-SOVIET COLONIAL SPACE /Nationalities Papers, Vol. 30, No. 2, 2002
- Zviad Abashidze /Wheaknesses of „nationhood": national integration as challenge for post-communist Georgia / Politeja, No. 1 (3) (2005). Księgarnia Akademicka

[17] Natalie Sabanadze / Georgia's ethnic democracy: source of instability / THE FATE OF ETHNIC DEMOCRACY IN POST-COMMUNIST EUROPE. Edited by SAMMY SMOOHA AND PRIIT JÄRVE /OPEN SOCIETY INSTITUTE 2005. Pp.115

Zviad Abashidze

Rogers Brubaker's and Sammy Smoha's post-communist national projects analysis and Georgia

Abstract

In given article the two prominent scholars from social sciences Rogers Brubaker's and Sammy Smohas paradigms of understanding of post-communist nationalism and nation-building are discussed and analised on example of post-communist Georgian case.

The article argues that, the understanding of post-communist nation-building and nationality policies according to traditional strong dichotomy of ethnic and civic nations is only a partial vision of the process that in many cases ignores the mixing nature of such projects in reality.

Rogers Brubaker's and Sanny Smoha's leading concepts of "nationalizing state" and "ethnic democracy" have been the widespread approaches for understanding of post-communist nationality policies and nation-building in recent social scniences, which are truly effective in interpretation of many cases, but such insights often requires reconsiderations on the light of concrete case studies.

Post-communist Georgia is the good example of such view, where, along with other states of post-soviet space and broader Eastern Europe, ethno-cultural models prevails over civic on nationality issues, but it is only a demonstration of soviet heritage of social interaction of ethnic groups. According to Georgia Constitutional norms, formal codes or regulations, broadly understanding of "citoyen" has been purely based on civic-political rights and not on ethnic ties and dominance.